

## ევროპის დემოკრატიის დედაქალაქი: აქციე შენი ქალაქი დემოკრატიის ელჩად!

*რა იქნებოდა, დემოკრატია რომ ჰქონდეს სახლი? თვალსაჩინო ადგილი, სადაც მოქალაქეები იკრიბებიან გამოცდილების გასაზიარებლად, სწავლისა და სიამოვნების მისაღებად დემოკრატიული ღირებულებების, თავისუფლებისა და მშვიდობის დროშის ქვეშ?*

ეს ნამდვილად არის სრულიად ახალი პროექტის „[ევროპის დემოკრატიის დედაქალაქის](#)“ ხედვა: ინიციატივა, რომელიც ყოველწლიურად, 2022 წლიდან აირჩევს ქალაქს ევროპაში, როგორც დემოკრატიის გამამდიერებელსა და წარმოდგენელს.

ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს სოციალურ-პოლიტიკური ინიციატივების დანერგვას, რასაც უჭერს მხარს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია“ და სიამაყით აცხადებს, რომ მისი გენერალური მდივანი, ანტონელა ვალმორბიდა დაინიშნა ექსპერტთა ჟიურის წევრად. ქალბატონი ვალმორბიდა იქნება იმ მცირერიცხოვან ექსპერტებსა და პრაქტიკოსებს შორის, რომლებიც შეისწავლიან ყველა განაცხადს და შეარჩევენ 5 ნომინირებულ ქალაქს, რომლებსაც შემდეგ კენჭს უყრიან ევროპის მოქალაქეები.

ფაქტობრივად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ყველა ქალაქს (100,000+ მოსახლეობით) შეუძლია შემოიტანოს განაცხადი!

გამარჯვებული ქალაქი უმასპინძლებს საინტერესო ღონისძიებების, ფესტივალებისა და აქტივობების ერთწლიან პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას, მოქალაქეების მონაწილეობას და მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

**თავისი მისიისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ALDA ამყობს, რომ არის ექსპერტთა ჟიურის წევრებს შორის, რომლებიც შეარჩევენ ხუთ ქალაქს**

რა სარგებელს მიიღებს გამარჯვებული ქალაქი?

- გახდება თვალსაჩინო, როგორც ევროპული დემოკრატიის საუკეთესო პრაქტიკა;
- მოქალაქეები აქტიურად განავითარებენ დემოკრატიული პოლიტიკის ახალ ფორმებს;
- შთააგონებენ პოლიტიკოსებს და ნოვატორებს მთელი ევროპიდან გამოიწვიონ ცვლილებები ქალაქის ახალი იდეების, აქტივობებისა და ქსელების მეშვეობით.

როგორ გახდება ქალაქი ევროპის დემოკრატიის დედაქალაქი?

- ქალაქები, რომლებიც იბრძვიან ამ ტატულის მოსაპოვებლად წარმოდგენენ თავიანთ საუკეთესო დემოკრატიულ პრაქტიკას და ახალი პროექტების იდეების პორტფოლიოს;
- ექსპერტთა ჟიური აფასებს პროექტებს და ირჩევს მაქსიმუმ ხუთ ქალაქს;
- 10,000 ევროპელი მოქალაქისგან შემდგარი ჟიური ხმას აძლევს ქალაქს გახდეს ევროპის დემოკრატიის დედაქალაქი.

გთხოვთ, იხილოთ დამატებითი დეტალები ევროპის დემოკრატიის დედაქალაქის (ECoD) ინიციატივის შესახებ:

- [ევროპის დემოკრატიის დედაქალაქის ინიციატივა](#)
- [ევროპის დემოკრატიის დედაქალაქის ინიციატივის საინფორმაციო ბუკლეტი](#)
- [ევროპის დემოკრატიის დედაქალაქის , არაკომერციული ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია](#)